დღიური

სტუდენტი: მარიმ ჩიტაიშვილი

პირველი დღე:

დღეს სოფელში დიდი ამბავი მოხდა ბატონ-ყმობა გაუქმდა. პირველად ვიგრძენი, რომ თავისუფლება სიტყვებზე მეტი იყო ეს ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო. მიწა ჩვენი გახდა, აღარ მოგვიწევს სხვისთვის შრომა, ვინც მხოლოდ ჩვენი შრომის ნაყოფს ითვისებდა. სოფელში სიხარულია, თუმცა ზოგს შიში გაუჩნდა როგორ ვიცხოვრებთ ახლა, როცა ბატონი აღარ გვეყოლება? მე გულში იმედი მიკრიალებს, თითქოს გაზაფხული მოვიდა ჩვენს სულებში და ახალი სიცოცხლე შემოიტანა. ჩვენი მოსახლეობა თითქოს ერთ მთლიანობად იქცა ახლა ჩვენ თავად ვწერთ საკუთარ ისტორიას. ეს დღე გახდა ჩვენი სოციალიზაციის ახალი ეტაპი, როცა ვსწავლობთ, როგორ ვიცხოვროთ თავისუფალ საზოგადოებაში.

მეორე დღე:

რამდენიმე თვე გავიდა და სოფლის ცხოვრება ნელ-ნელა იცვლება. ბევრი ახალგაზრდა ქალაქისკენ მიდის სამუშაოს საძებნელად ასე იცვლება ჩვენი სოფლის მოსახლეობის სტრუქტურა. ზოგი ქალაქში მიდის, ზოგი კი სოფელში რჩება. ეს მოძრაობა აჩვენებს მოსახლეობის დინამიკას, ანუ როგორ იცვლება ადამიანთა რაოდენობა და გადაადგილება დროის განმავლობაში. რკინიგზა გაიხსნა და ქარხნები მუშაობენ, რაც ახალ შესაძლებლობებს აჩენს. სოფელში კი სწავლაზე მეტი ყურადღება დგება ხალხი წიგნებს კითხულობს და ახალ იდეებს ეძებს. ჩვენ აღარ ვართ მხოლოდ გლეხები, ახლა ახალი დროა, როცა შეგვიძლია საკუთარი ცხოვრება თვითონ გავმართოთ და თვითონ ვიმოქმედოთ. ეს არის სოციალური მობილობა როცა

ადამიანი ცდილობს უკეთეს ცხოვრებას, ცოდნისა და შრომის გზით.

მესამე დღე:

მამა ქალაქში წავიდა, სადაც რკინიგზის გახსნით ახალი სამუშაოები გაჩნდა. ცოტა მეწყინა, მაგრამ ვიცი, რომ უკეთესი ცხოვრებისთვის წავიდა. მამა ახლა ჩვენი ოჯახის სოციალიზაციის აგენტია ის იქ სწავლობს ახალ წესებსა და ცოდნას და მოგვიტანს ქალაქის გამოცდილებას. ქალაქში ბევრი ახალგაზრდა თერგდალეულია, რომლებიც სწავლობენ და სამშობლოს აძლიერებენ. მათგან ვსწავლობთ, რომ განათლება და შრომა მომავლის გზა არის. ველი მამას დაბრუნებას ახალი იმედებით და ახალი ხედვით.

მეოთხე დღე:

დღეს სოფელში ახალგაზრდა თერგდალეული ილია ჩამოვიდა. ის ჩვენთან თავისუფლებაზე, პატიოსნებაზე და განათლების მნიშვნელობაზე გვესაუბრა. ილიას სიტყვებმა ძალიან გაგვაერთიანა და გვაჩვენა, რომ ჩვენი იდენტობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გლეხობით ან სიღარიბით. ჩვენ ქართველები ვართ, თავისუფალი მოქალაქეები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ცხოვრება და ქვეყანა შეცვალონ. მისი გამბედავი იდეები და ახალი ხედვები სოფლელებს გვამხნევებს, გვაიმედებს და გვინერგავს რწმენას, რომ განათლება და ერთობა ჩვენი ქვეყნის ძლიერების საწინდარია. ეს შეხვედრა თითქოს ახალ სოციალურ სივრცეს ქმნის, სადაც იდეები მოძრაობს და ცვლის ხალხის ცნობიერებას.

მეხუთე დღე:

დღეს სოფელში ამბავი გავრცელდა მთავრობა ახალ დემოგრაფიულ პოლიტიკას იწყებს და სკოლებს ხსნის. ჩვენი სოფელი იცვლება: ზოგი

ახალგაზრდა ქალაქში წავიდა უკეთესი ცხოვრების ძიებაში, ზოგიც დაბრუნდა ახალი გამოცდილებითა და იდეებით. ხალხი მოძრაობს, სწავლობს და ახალ ურთიერთობებს ქმნის. რკინიგზის გახსნით თბილისამდე გზა მოკლდა დრო და სივრცე თითქოს შემცირდა. ქალაქის ამბები სულ მალე ჩვენს სოფელშიც აღწევს. ვგრძნობ, რომ ჩვენი თაობა უკვე სხვა საზოგადოებაში ცხოვრობს თავისუფალი, შრომისმოყვარე და მომავლის იმედით სავსე.

დასკვნა:

ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ სოფლის ცხოვრება თანდათან შეიცვალა. თავისუფლებამ ადამიანებში გააღვიძა როგორც სიხარული, ისე პასუხისმგებლობა. იცვლება მოსახლეობის სტრუქტურა და დინამიკა ბევრი ქალაქში მიდის, ზოგიც სოფელში რჩება და სწავლობს. განათლება და თერგდალეულების იდეები იქცა სოციალიზაციის აგენტად, რომელმაც გააღვიძა იდენტობა და სოციალური მობილობის სურვილი. ქართული სოფელი შედის ახალ ეპოქაში, სადაც მთავარი ღირებულებაა ცოდნა, შრომა და სამშობლოს სიყვარული.